

Visual Effects Design in Georgia

Georgian transcript:

რუსო: ნიკა, თუ შეგიძლია მითხრა რაზე მუშაობ?

ნიკა: კომპიუტერულ გრაფიკას ვქმნი. ჩვენ ვმუშაობთ, ჩვენი ფირმა გვაქვს გაკეთებული, ვიზუალური ეფექტების და კომპიუტერული გრაფიკის სტუდია და ძირითადად ვმუშაობთ რაზე: ძირითადად ვაკეთებთ არქიტექტურული პროექტების ვიზუალიზაციას, ანიმაციას, და ანიმირებულს პრეზენტაციებს ვაკეთებთ. აგრეთვე ვმუშაობთ ვიზუალურ ეფექტებზე და ვცდილობთ რომ კინონდუსტრიაში შევიდეთ ასე ვთქვათ.

რუსო: აჰა, და საქართველოში არის დიდი მოთხოვნა?

ნიკა: საქმე იმაში არის რომ საქართველოში გაჩნდა ეს მოთხოვნა რამდენიმე, ბოლო ერთი-ორი წელია არის ეს ინდუსტრია განვითარდა საკმაოდ სწრაფად. თვითონ რაც შეეხება ანიმაციას და კომპიუტერული გრაფიკის ინდუსტრიას, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე შეიძლება ითქვას რომ ჩვენ რაღაც წვლილი მიგვიძღვის ამ ინდუსტრიის განვითარებაში საქართველოში, იმიტომ რომ ოთხი წლის წინ ჩვენ პირველებმა საქართველოში შევქმენით სრულმამტაბიანი არქიტექტურული პროექტი, სრულმამტაბიანი პრეზენტაცია ანიმირებული და მას მერე შეიქმნა მოთხოვნილება ამ პროდუქტზე ბაზარზე, და ჩვენ ამ მოთხოვნილებას ვაკმაყოფილებდით მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში. მარტო ჩვენ არა რა თქმა უნდა, ჩვენ სხვა კომპანიებსაც გავუხსენით ასე ვთქვათ ეს გზა, და შევქმენით პრინციპში მოთხოვნილება იმ პროდუქტზე რომელსაც ვაკეთებთ თვითონ. და ეხლა როგორც შემდეგი ეტაპი ჩვენ გვინდა რომ ვიზუალურ ეფექტებზეც შევქმნათ ასე ვთქვათ მოთხოვნილება ამ ბაზარზე. იქედან გამომდინარე რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში კინონდუსტრია საქართველოში საკმაოდ სწრაფად განვითარდა და ვთქვათ ხუთი წლის წინ თუ წელიწადში თბილისში იღებდნენ ხუთ ფილმს, ან ოთხ ფილმს, წელს უკვე ალბათ ათი ფილმია, თხუთმეტი ფილმია და ანუ ისეთია რა, დამოუკიდებელ ფილმებსაც იღებენ ბევრს და კინოსტუდიებიც გაჩნდა და ბიზნესი მუშაობს რეალურად ეს სეგმენტი და აი ეს ვიზუალური ეფექტების სეგმენტი არის რეალურად ცარიელი ეხლა, არავინ არ არის ისეთი რომელიც აი ამ პროფესიით მუშაობს ამ ბაზარზე და ჩვენ ვცდილობთ რომ ჩვენ გავხდეთ ის ვიღაც ვინც იმუშავებს ამ ბაზარზე.

რუსო: და გაქვთ რაიმე პროექტი გაკეთებული, თუ ჯერ არა?

ნიკა: იცი რა არის, ჯერ ვმუშაობთ ჩვენს პორტფოლიოზე, რომ მერე პორტფოლიოს საშუალებით შევქმნათ მოთხოვნილება, ანუ კლიენტი, მე არ ვიცი სხვაგან როგორ

არის, მაგრამ ქართული ბაზრის სპეციფიკა ესეთი არის რომ, კლიენტი სანამ არ ნახავს რას სთავაზობ ძალიან უჭირს გადაწყვეტილების მიღება უნდა თუ არა შენი პროდუქტი რა. და როდესაც შენ პორტფოლიოს ქმნი რაღაცას, რა თქმა უნდა შენ ენერჯიას დებ მანდ და არაფერ მოგებას არ იღებ იქედან, მაგრამ რეალურად შენ ქმნი შენს პორტფოლიოს რომლის საშუალებითაც შენ შეგიძლია მოიზიდო ის კლიენტი, აჩვენო შენ რას სთავაზობ, იმიტომ რომ ახსნით ვიზუალურ ეფექტებს ვერ ახსნი, უნდა აჩვენო. და ამიტომ პორტფოლიოს რომ ქმნი, შენ ქმნი მოთხოვნილებას შენს პროდუქტზე.

რუსო: ძალიან კარგი, და კინოინდუსტრიაზე კიდევ რა შეგიძლია თქვა? ანუ ბოლო რამდენიმე წელია საკმაოდ განვითარდა შენი აზრით?

ნიკა: კი საკმაოდ ძალიან განვითარდა, ანუ დაინერგა ტექნოლოგიები, გაიზარდა ხარისხი კინოპროდუქციის, ნუ მსახიობები რეალურად ყოველთვის იყვნენ და გვყავდა ნიჭიერი მსახიობები საქართველოში ბევრი იყო ყოველთვის, მაგრამ ამ მსახიობებს გასაქანი ნაკლებად ქონდათ იმიტომ რომ ინდუსტრია არ მუშაობდა ანუ ეს ბიზნესი... ბიზნესის ელემენტი ნაკლები იყო კინოინდუსტრიაში, ანუ უფრო იყო ხელოვნების ელემენტი და ბიზნესის ელემენტი მოიკოჭლებდა, ნუ არ იყო რა რეალურად და ეხლა ცოტა მიემატა ეს ბიზნეს ელემენტი და ამიტომ ამუშავდა ასე ვთქვათ. რა თქმა უნდა მაგას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს, ანუ ზედმეტი ბიზნეს ელემენტი ხელოვნებას არ უხდება, მაგრამ ალბათ ისწავლიან ამასაც, და მოაკლებენ ცოტა ბიზნესს და ხელოვნებას აამალლებენ ცოტა.

English Translation:

Ruso: Nika, can you tell me what do you do in life?

Nika: I design computer graphics. We have started our own firm – a studio for visual effects and computer graphics – and we mostly do the following: we mostly do visualization, animation, and [3D] animated presentations of architectural projects. At the same time we are working on visual effects and are trying to break into the film industry, so to speak.

Ruso: I see, and is there a large demand in Georgia?

Nika: The point is that in Georgia demand for this started several... [In the] past one or two years, this industry has developed very rapidly. Concerning the animation and computer graphics industry, without much false modesty, we can say that we have somehow contributed to the development of this industry in Georgia, because four years ago we were the first in Georgia to design full-scale architectural projects, full-scale animated presentations, and since then the demand for this product was created in the market, and we have been supplying it for four years. We are not the only ones, of course; we have opened the door for many other companies and we created demand for the product that we are producing. And now, as our next step we want to create demand for visual effects in this market. Because in the past two years the film industry in

Georgia has developed quickly, and let's say if five years ago they made five or four films a year in Tbilisi, this year it is perhaps ten films, [even] fifteen films. And so, many independent films are being made, but a lot of studios have been founded as well and business is growing stronger in fact, so this segment... and this segment of the visual effects [industry] is really empty now, there is no one who works with this profession and we are trying you become that someone who will work on this in this market.

Ruso: Have you implemented any projects yet?

Nika: You know, first of all we are working on our portfolio and then with the help of portfolio we will create demand; meaning that a client... I do not know what it's like elsewhere, but the Georgian market is specific in such a way that it is very hard for clients to make a decision whether they like your product or not until they see what you are offering. And when you create a portfolio... of course you invest energy, and do not receive many benefits, but in fact you create your portfolio with which in the future you can attract clients, show them what you are offering – because since you cannot really describe visual effects by word, you have to show them. Therefore, when you create a portfolio you create demand for your product.

Ruso: Very good, and what else can you say about the [Georgian] film industry? Do you think that it has developed rapidly within the past five years?

Nika: Yes, it has developed significantly. New technologies have been implemented, the quality of cinema production has improved... Well, actors have always been there and we always had a lot of talented actors in Georgia, but they didn't have enough scope, because industry was not working, the business element was less present in the cinema industry, so there was more of an art element and the business part was limited. It was nonexistent, actually, and now this element was added and that's why it started to work, so to speak. Of course this has its negative effects, too much of [a] business [approach] does not suit art, but probably they'll learn this as well, and take away from business a little and elevate the art.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated